




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარგველაშვილი პარმენ იორამის ძე



პ. მარგველაშვილი

მარგველაშვილი პარმენ იორამის ძე (დ. 30. IV. 1943, ქუთაისი), ფიზიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1966). მუშაობდა სერპუხოვოს (რუსეთი) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტში (1967-70); იყო თსუ-ის თეორიული ფიზიკის კათედრის ასისტენტი (1971-75) და ამავე კათედრის დოცენტი (1975-2005); 55-ე საჯარო სკოლის დირექტორი (1993-2005); თსუ-ის პრორექტორი (1997-2005); შპს „თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ თანადამფუძნებელი და რექტორი (1991-2007); შპს საქართვე. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტის პირველი რექტორი (2007-10). მ. არის შპს „გამომცემლობა ნეკერის“ თანადამფუძნებელი და დირექტორი (1991-იდან); საქართვე.

მეცნ. ეროვნ. აკად. „რუსთაველის კომიტეტის“ ხელმძღვანელის მოადგილე (2005-იდან). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რ-ებიც ეძღვნება თეორიულ ფიზიკას; აგრეთვე არქეოლოგიას, ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას; იკვლევდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, დავით კაკაბაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას.

მ. 1979-81 ხელმძღვანელობდა ბეთლემის (საქართვე.) მაღალმთიან არქეოლ. ექსპედიციას, რ-მაც დაადასტურა ბეთლემის ქედზე ზღვის დონიდან 3750 მ-ზე სტეფანწმინდის მონასტრის არსებობა და შეისწავლა მონასტრის ნანგრევები. მ. ხელმძღვანელობდა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში მოქმედ კულტ. მემკვიდრეობის ძეგლების შემსწავლელ სამეცნ. ჯგუფს (2011-14), რ-მაც შექმნა

ამჟამად საქართვე. ფარგლებს გარეთ არსებული 102 არქიტ. ძეგლის ინტერაქტიული სფერული პანორამული ფოტოსახე. მ. ენეოდა საზ. მოღვაწეობას: იყო თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავ-რე (1975-82); სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სახ. დეპუტატი (1989-91); 1989 წ. 9 აპრილის მოვლენათა შემსწავლელი სახელმწ. კომისიის თავ-რის მოადგილე (1989-90).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: რაღაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია: განზრახვითი ქმედება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1992; რუსთაველის მსოფლმხედველობა: კითხვები „ვეფხისტყაოსნის“ გამო, თბ., 2007; Connection between dynamics and initial conditions of unstable systems, Physics Letters B, v.131, 1983 (თანაავტ. A. Baker).
